# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება №73/04

## 2011 წლის 7 სექტემბერი

## ქ. თბილისი

## ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №45/04 – ვებგვერდი, 02.05.2013წ.*

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის,,ვ“ ქვეპუნქტის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ,,ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესი;

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №45/04 – ვებგვერდი, 02.05.2013წ*

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს,,ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2003 წლის 30 ივნისის №34 დადგენილება;

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გ. ქადაგიძე**

## ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესი

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №45/04 – ვებგვერდი, 02.05.2013წ.*

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში – ეროვნული ბანკი) მიერ ემიტენტების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის, ასევე იმ ემიტენტის, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციის მიერ საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის („ფქსსნ“–ISIN) მინიჭების პროცედურებს;

ბ) კერძო შეთავაზებისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ის მინიჭების წესს;

გ) ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის ფორმას და ეროვნულ ბანკში წარსადგენ ინფორმაციას.

2. ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი ერთდროულად არის როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №45/04 – ვებგვერდი, 02.05.2013წ.*
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №99/04 – ვებგვერდი, 22.10.2015 წ.*

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი (ფქსსნ – ISIN) – ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის სტრუქტურაც და შინაარსიც ეფუძნება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ დადგენილ მოთხოვნებს და რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ემიტენტის ერთსა და იმავე კლასისა და ნიშან -თვისებების მატარებელი ფასიანი ქაღალდის უნიკალური იდენტიფიცირების საშუალებას;

ბ) ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკატორი (CFI – Classification of Financial Instruments) – ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდისთვის მინიჭებული კოდი, რომლის სტრუქტურაც და შინაარსიც ეფუძნება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ №10962-ე სტანდარტს;

გ) განმცხადებელი – პირი, რომელიც განაცხადებს ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ის მინიჭების სურვილს;

დ) სათანადო ფასიანი ქაღალდი – ემიტენტის მიერ საქართველოს ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად გამოშვებული ფასიანი ქაღალდი;

ე) რეგისტრაცია – ემისიის დამტკიცებული პროსპექტის, ხოლო კერძო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების ან/და იმ ემიტენტის, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციის საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების ძირითადი მონაცემების შეტანის პროცედურა ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ რეესტრში;

ვ) უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაცია - (შემდგომში: განვითარების ორგანიზაცია) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 19 თებერვლის N16/01 ბრძანებით გათვალისწინებულ განვითარებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილოებით შექმნილი პირი, რომლის მიზანს წარმოადგენს განვითარების პროექტების დაფინანსება და ხელშეწყობა.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №45/04 – ვებგვერდი, 02.05.2013წ.*

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 17 ივლისის გრძანება №75/04 – ვებგვერდი, 18.07.2013 წ.*
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 20 ოქტომბრის გრძანება №99/04 – ვებგვერდი, 22.10.2015 წ.*

**მუხლი 3. ფქსსნ-ის მინიჭება**

1. ეროვნული ბანკი ერთსა და იმავე ფქსსნ-ს ანიჭებს სათანადო ფასიანი ქაღალდების ერთსა და იმავე კლასს და, პირიქით, სათანადო ფასიანი ქაღალდების ერ თსა და იმავე კლასს – ერთი და იმავე ფქსსნ-ს.

2. ეროვნულ ბანკს შეუძლია ფქსსნ მიანიჭოს განმცხადებლის მოთხოვნით ან მის გარეშე.

3. ეროვნული ბანკი ფასიან ქაღალდს ფქსსნ-ს ანიჭებს ემიტენტის ემისიის პროსპექტის დამტკიცებისას, ხოლო იმ ემიტენტის, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და განვითარების ორგანიზაციის მიერ საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების მიღებისას, თუ ამავე კლასის ფასიან ქაღალდებს მანამდე ფქსსნ მინიჭებული არ ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ ფქსსნ მანამდე მინიჭებული უკვე ჰქონდა ამავე ფასიანი ქაღალდების კლასს, უკვე მინიჭებული ფქსსნ გამოყენებულ იქნება ამ პროსპექტით ან შეტყობინებით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდებისათვისაც.

3[1]. ეროვნული ბანკი კერძო შეთავაზებისათვის განკუთვნილ ფასიან ქაღალდს ფქსსნ-ს ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტი საქართველოში აპირებს ფასიანი ქაღალდების კერძო შეთავაზებას და წინამდებარე წესით განცხადებით მიმართავს ეროვნულ ბანკს ფქსსნ-ს მინიჭების თაობაზე. კერძო შეთავაზებისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ის მინიჭება ხორციელდება საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ფქსსნ-ის მინიჭებასთან ერთად ეროვნული ბანკი ფასიან ქაღალდებს ანიჭებს ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკატორს, აღნიშნული კოდი გადაეგზავნება ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციას.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 1 მაისის გრძანება №45/04 – ვებგვერდი, 02.05.2013წ.*
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 17 ივლისის გრძანება №75/04 – ვებგვერდი, 18.07.2013 წ.*
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 20 ოქტომბრის გრძანება №99/04 – ვებგვერდი, 22.10.2015 წ.*

**მუხლი 4. ემიტენტის ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ს მისანიჭებლად ეროვნულ ბანკში წარსადგენი ინფორმაცია**

1. ფქსსნ-ის მინიჭებამდე ეროვნული ბანკი დაადგენს, ფასიანი ქაღალდები სათანადოა თუ არა. ამ მიზნისათვის, ეროვნულ ბანკს ემიტენტმა უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც ის შეიქმნა (დაფუძნდა) და ახორციელებს თავის საქმიანობას, ასევე ცვლილებები ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის, ასევე განვითარების ორგანიზაციის შემთხვევაში შესაძლებელია იმ ვებგვერდის მისამართის მითითება, სადაც განთავსებულია აღნიშნული ინფორმაცია;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ან ემიტენტის იურიდიული მისამართის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის, ასევე განვითარების ორგანიზაციის შემთხვევაში შესაძლებელია იმ ვებგვერდის მისამართის მითითება, სადაც განთავსებულია აღნიშნული ინფორმაცია;

გ) ემიტენტის საფირმო სახელწოდება;

დ) ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელები, გვარები და თანამდებობა;

ე) ემიტენტის იურიდიული მისამართი და ფაქტობრივი მისამართი;

ვ) ფასიან ქაღალდებზე ნებისმიერი შეზღუდვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ) გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მთლიანი ნომინალური ღირებულება;

თ) სავალო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში ფასიანი ქაღალდის გამოშვების და ვადის გასვლის თარიღები;

თ) წინასწარ დადგენილი სარგებელის განაკვეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. თუ ემიტენტი ფქსსნ-ის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართავს ეროვნულ ბანკს საბოლოო პროსპექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 თვისა და აღნიშნული განცხადებით ის ითხოვს ბოლო პროსპექტით დამტკიცებული ფასიანი ქაღალდებისათვის ნომრის მინიჭებას, მას არ სჭირდება დამატებით იმ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც უკვე მოცემულია აღნიშნულ საბოლოო პროსპექტში.

3. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს შეუძლია უარი განაცხადოს ფქსსნ-ის მინიჭებაზე.

4. თუ განმცხადებელი არის ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირი, მაშინ მან დამატებით უნდა წარმოადგინოს ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი თანხმობა, რომ აღნიშნულ პირს ენიჭება უფლება გამოითხოვოს საიდენტიფიკაციო ნომერი.

5. საქართველოში საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოშვებულია იმ ემიტენტის მიერ, რომლის ფასიანი ქაღალდებიც დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, არ საჭიროებს ეროვნული ბანკის მიერ ხელახლა ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, თუ მათ უკვე გააჩნიათ საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი.

6. საქართველოში საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები საჭიროებს ეროვნული ბანკის მიერ ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, თუ მათი საჯარო შეთავაზება უნდა განახორციელოს ემიტენტმა, რომლის ქაღალდებიც დაშვებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, მაგრამ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით უშვებს ახალი კლასის ფასიანი ქაღალდების ემისიას, რომელსაც არ გააჩნია საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი. აღნიშნულ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია

ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ინფორმაცია გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შესახებ, კერძოდ, გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების კლასი და რაოდენობა.

6[1]. საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტს და განვითარების ორგანიზაციას, ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტების ეროვნულ ბანკში წარდგენა შეუძლია ინგლისურ ენაზე.

7. ეროვნული ბანკი ფასიან ქაღალდს ფქსსნ-ს ანიჭებს საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდის შეთავაზება არ საჭიროებს ემისიის პროსპექტის დამტკიცებას, განცხადების ეროვნული ბანკისათვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ეროვნული ბანკი განიხილავს მას და ანიჭებს ფასიან ქაღალდებს საიდენტიფიკაციო ნომერს, თუ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №45/04 – ვებგვერდი, 02.05.2013 წ.*
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №99/04 – ვებგვერდი, 22.10.2015 წ.*
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება №144/04 – ვებგვერდი, 06.07.2018 წ.*
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 27 მაისის ბრძანება №119/04 – ვებგვერდი, 28.05.2026 წ.*

## მუხლი 5. ეროვნული ბანკის მიერ ინფორმაციის მოთხოვნა

1. ფქსსნ-ის მინიჭების შესახებ განმცხადებელმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, თუ იგი არის:

ა) ემიტენტი, თავის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით;

ბ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, იმ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, რომელთა რეგისტრატორულ მომსახურებას ეწევა;

გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მესაკუთრე, ფასიანი ქაღალდების იმ კლასთან დაკავშირებით, რომლის 1%-ს ან მეტის რეგისტრირებული მესაკუთრე არის;

დ) საბროკერო კომპანია, რომელიც მოქმედებს ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირის ინტერესებისათვის;

ე) ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი;

ვ) საფონდო ბირჟა;

ზ) ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციის წევრი ან პარტნიორი ორგანიზაცია.

2. განმცხადებლის მიერ ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები და მონაცემები შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც ორიგინალის, ასევე სანოტარო წესით დამოწმებული ასლის სახით.

## მუხლი 6. ფქსსნ-ის ფორმულა ემიტენტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისთვის

1. ფქსსნ მიენიჭება GE-S-CCC-T-nnnn-k ფორმულისმიხედვით, სადაც:

GE= „საქართველოს“ აღმნიშვნელი ორი ანბანური ნიშანი;

S= ციფრი 0-დან 9-ის ჩათვლით, რომლითაც განისაზღვრება ფასიანი ქაღალდის ძირითადი სახეები;

CCC= ციფრი 0-დან 9-ის ჩათვლით, რომლებითაც განისაზღვრება ფასიანი ქაღალდის ძირითადი ნიშნები;

T= ციფრი 0-დან 9-ის ჩათვლით, რომლითაც განისაზღვრება ფასიანი ქაღალდის ვადა ან ხანგრძლივობა;

nnnn= ეროვნული ბანკის მიერ თითოეული ემიტენტისათვის მინიჭებული რიგითი ნომერი;

k= საკონტროლო ციფრი, რომელიც გამოითვლება „modulos 10 double-add-double“ ფორმულის სახით.

2. ამ ფორმულაში მოცემული ასოები აღნიშნავენ ადგილს, სადაც ასოები და ციფრები განლაგდება ნომრის მისანიჭებელი ფასიანი ქაღალდების ნიშანთა მიხედვით.

3. „GE“ ასოების ადგილას დაიწერება ინგლისური ანბანის ორი ასო „GE“, რაც „საქართველოს“ აღნიშნავს.

4. ასო „S“-ის ადგილას ჩაიწერება რომელიმე რიცხვი 0-დან 9-მდე, რომელიც ფასიანი ქაღალდების ძირითად სახეს შემდეგნაირად აღნიშნავს:

| ფასიანი ქაღალდის სახე | რიცხვი „S“-ის ადგილზე |
|---|---|
| აქცია | 1 |
| კორპორაციული ობლიგაცია | 2 |
| კოლექტიური საინვესტიციო სქემის ფასიანი ქაღალდი | 3 |
| ოფციონის ხელშეკრულება | 4 |
| ფიუჩერსის ხელშეკრულება | 5 |
| ვარანტი | 6 |
| სადეპოზიტო ხელწერილი | 7 |
| განუსაზღვრელი სახე | 8 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის სასესხო ვალდებულება | 9 |
| განუსაზღვრელი ნიშანი | 0 |

5. „C“ – ის თითოეულ სამ ადგილას ჩაიწერება რიცხვი 0-დან 9-მდე, რომელიც მიუთითებს ფასიანი ქაღალდის ძირითად ნიშანზე. ამდენად, შეიძლება აღინიშნოს ფასიანი ქაღალდის სამ ნიშნამდე შემდეგის გათვალისწინებით:

| ფასიანი ქაღალდის ნიშნები | რიცხვი თითოეული „C“-ის ადგილზე |
|---|---|
| ჩვეულებრივი | 1 |
| პრივილეგირებული | 2 |
| კონვერტირებადი | 3 |
| კაპიტალის გარანტიით | 4 |
| შემოსავლის გარანტიით | 5 |
| საბანკო გარანტიით | 6 |

| | |
|---|---|
| კუპონით | 7 |
| დისკონტით | 8 |
| პროსპექტის დამტკიცების გარეშე გამოშვებული ფასიანი ქაღალდი | 9 |
| განუსაზღვრელი ნიშანი | 0 |

თუ ფასიან ქაღალდს აქვს ამ პუნქტში ჩამოთვლილი მახასიათებლების სამზე მეტი ნიშანი, მაშინ ნიშნები ენიჭება რიგითობის მიხედვით დაწყებული ერთიდან დამთავრებული ნულის ჩათვლით.

6. „T“- ის ადგილას ჩაიწერება ერთი ციფრი 0-დან 9-მდე ფასიანი ქაღალდის ვადის ან ხანგრძლივობის აღსანიშნავად შემდეგის გათვალისწინებით:

| ფასიანი ქაღალდის ვადიანობა | რიცხვი „T“-ის ადგილზე |
|---|---|
| 1 თვე ან ნაკლები | 1 |
| 1 თვეზე მეტი, მაგრამ 3 თვემდე | 2 |
| 3 თვეზე მეტი, მაგრამ 6 თვემდე | 3 |
| 6 თვეზე მეტი, მაგრამ 9 თვემდე | 4 |
| 9 თვეზე მეტი, მაგრამ 1 წლამდე | 5 |
| 1 წელიწადზე მეტი, მაგრამ 5 წლამდე | 6 |
| 5 წელიწადზე მეტი, მაგრამ 10 წლამდე | 7 |
| 10 წელზე მეტი | 8 |
| (ჯერ არ არის განსაზღვრული) | 9 |
| განუსაზღვრელი ხანგრძლივობა | 0 |

7. „nnnn“- ის ადგილას ჩაიწერება ეროვნული ბანკის მიერ თითოეული ემიტენტისათვის მინიჭებული რიგითი ნომერი.

8. „k“-ს ადგილას ჩაიწერება ერთნიშნა რიცხვი, რომელიც გამოითვლება „modulos 10 double-plus-double“ სახის ფორმულის სტანდარტული საკონტროლო ციფრის გამოყენებით, რაც განისაზღვრება სტანდარიტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) 6166:1994 სტანდარტის 1 ტექნიკურ ჩამონათვალში.

## მუხლი 7. ემისიის პროსპექტის, საჯარო ან/და კერძო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის ფორმულა

ემისიის პროსპექტს, საჯარო ან/და კერძო შეთავაზების თაობაზე შეტყობინებას მიენიჭება ნომერი ISIN-R-EE ფორმულის მიხედვით, სადაც:

ა) ISIN: ფასიანი ქაღალდის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერია;

ბ) R:

ბ.ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ემისიის შემთხვევაში არის 1;

ბ.ბ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგისა და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ემისიის შემთხვევაში არის 0;

ბ.გ) 2003 წლამდე საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ, ხოლო 2003 წლის შემდეგ შესაბამისი უფლებამონაცვლე სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ემისიის შემთხვევაში არის 9;

ბ.დ) სხვა ქვეყნების შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ რეგისტრირებული ემისიების შემთხვევაში არის 5.

გ) EE = წარმოადგენს ემისიის რიგით ნომერს კონკრეტული ემიტენტისათვის.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 17 ივლისის ბრძანება №75/04 – ვებგვერდი, 18.07.2013 წ.*

## მუხლი 8. ჩანაწერი და შეტყობინება

1. ეროვნული ბანკი ფქსსნ-ის მინიჭებისთანავე, მას დაუყოვნებლივ შეიტანს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ჩანაწერებში. ადმინისტრაციული წარმოების გასაიოლებლად ეროვნულმა ბანკმა შეიძლება ფქსსნ „GE“ თავსართის გარეშე ჩაწეროს, მაგრამ ამგვარად ჩაწერილი ფქსსნ-ის წაკითხვა უნდა მოხდეს ისე, როგორც ფქსსნ „GE“ თავსართი.

2. მინიჭებიდან 3 დღის ვადაში ეროვნული ბანკი ფქსსნ-ს აცნობებს მოცემული ფასიანი ქაღალდების ემიტენტს, საქართველოს საფონდო ბირჟას და განმცხადებელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## მუხლი 9. არსებულ ნომერთა შეცვლა

ახალი ნომრების მისანიჭებლად საჭიროა:

ა) ეროვნული ბანკის ოფიციალურ ჩანაწერებში ცვლილების შეტანა, რათა ნაჩვენები იქნეს ძველი ნომრის გაუქმება და მის ნაცვლად ახალი ნომრის მინიჭება;

ბ) შეტყობინების გაგზავნა მოცემული ფასიანი ქაღალდების გამომშვები ემიტენტისათვის, საქართველოს საფონდო ბირჟისა და იმ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის, რომელიც ამ ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს.